EAST EUROPEAN UNIVERSITY

აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი

სარჩევი

პრეამბულა 1

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობების განმარტება 2

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობის დაკავების პრინციპები 2

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები 3

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება 4

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოება 5

მუხლი 5[1]. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოება დისტანციურად 7

მუხლი 6. საკონკურსო კომისია 8

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის მუშაობა 9

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება 11

მუხლი 9. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება 15

მუხლი 10. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება 16

მუხლი 11. სხვა დებულებები 17

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები 17

დანართები 18

პრეამბულა

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის ჩატარება ზემოთ დეკლარირებული პრინციპების (გამჭვირვალობა, თანასწორობა, სამართლიანი კონკურენცია) დაცვით. მასში ასახულია აკადემიური თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები, კონკურსის ჩატარების პრინციპები, ფორმები, მეთოდები, დოკუმენტაციის წარმოების პროცედურები, და აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი, კანდიდატთა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს კანონმდებლობასა და უზრუნველყოფს კონკურსის სამართლიანი პრინციპების დაცვით ჩატარებას.

უნივერსიტეტი დარწმუნებულია, რომ წინამდებარე დოკუმენტის შინაარსის თანმიმდევრული რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ კომპეტენტური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განცდის მქონე პირთა მონაწილეობით. შესაბამისად უნივერსიტეტი საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოებას, საკონკურსო კომისიის წევრთა განსაზღვრასა და მათი მუშაობის რეგლამენტის ფორმირებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობების განმარტება

1. წამყვანი პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

2. პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

3. ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

4. ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

5. ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობის დაკავების პრინციპები

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

ა) კონკურსი გამჭვირვალეა, თუ ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის. საზოგადოებისთვის კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაციის

გამოქვეყნებით. გამოქვეყნებად არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის მხოლოდ ვებ-გვერდზე განთავსება.

ბ) კონკურსი თანასწორია, თუ გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა კონკურსანტი იმყოფება თანაბარ პირობებში.

გ) კონკურენცია სამართლიანია, თუ გამოყენებულია შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის წამყვან პროფესორად, 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით 7 (შვიდი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

2. უნივერსიტეტის პროფესორად, 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით 7 (შვიდი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. ჯანდაცვის მიმართულების კლინიკური სპეციალიზაციით პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად ასევე საჭიროა არანაკლებ უკანასკნელი 9 (ცხრა) წლის საექიმო საქმიანობის გამოცდილება.

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად, 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით 7 (შვიდი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. ჯანდაცვის მიმართულების კლინიკური სპეციალიზაციით ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად ასევე საჭიროა არანაკლებ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის საექიმო საქმიანობის გამოცდილება.

4. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად, 4 (ოთხი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. ჯანდაცვის მიმართულების კლინიკური სპეციალიზაციით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად ასევე საჭიროა არანაკლებ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის საექიმო საქმიანობის გამოცდილება.

5. უნივერსიტეტში ასისტენტის თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი, ჯანდაცვის მიმართულების კლინიკური სპეციალიზაციით ასისტენტის თანამდებობაზე – დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში.

6. უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე შესაძლებელია განუსაზღვრელი ვადით აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ თანამდებობაზე არჩევისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა).

7. უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობებზე შეიძლება არჩეული იქნეს პირი რომელსაც არ აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, მაგრამ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მისი კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან კოორდინაციით, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების საჭიროებას და შესაბამის ანალიზს

განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეთანხმებული მონაცემები წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც ბრძანებით აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მაღალრეიტინგულ სპეციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე ან საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

4. აკადემიური კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

5. აკადემიური კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარადგინოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ შესაბამის სამსახურში.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარადგინოს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე);

ბ) შევსებული კონკურსანტის ანკეტა/რეზიუმე;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტაცია.

3. კონკურსანტის შევსებული ანკეტა/რეზიუმეს და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ რეზიუმე შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს რეზიუმეში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

5. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღებაზე პასუხიმგებელი პირი იღებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ მასალებს, საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადი უნდა გატარდეს რეგისტრაციის ჟურნალში დადგენილი წესით. რის შემდეგაც საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს დოკუმენტების მიღების აქტს ორ ეგზემპლარად. ერთი გადაეცემა კონკურსანტს, ხოლო მეორე წარმოდგენილ დოკუმენტებთან ერთად ილუქება კონვერტში, კონკურსანტის თანდასწრებით.

7. დალუქული კონვერტები მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს.

8. დალუქულ საკონკურსო მასალასთან ერთად საკონკურსო კომისიის ყველა წევრს გადაეცემა გაცნობის ფურცელი, რომელზე ხელმოწერითაც დაადასტურებენ, რომ გაცნობილნი არიან უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის წესსა და ამ წესით განსაზღვრულ საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტს და გამოთქვამენ მზაობას მათზე დაკისრებული ფუნქციები შეასრულონ აღნიშნული დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. კონკურსის დასრულების შემდეგ არჩეული კანდიდატის დოკუმენტაცია ჩაეკერება მის პირად საქმეში, ხოლო სხვა კანდიდატებს, რომლებიც არ იქნენ არჩეულნი, დოკუმენტები შეიკვრება და გადაეცემა არქივს.

მუხლი 5[1]. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოება დისტანციურად

1. შესაძლებელია საკონკურსო დოკუმენტების მიღება განხორციელდეს დისტანციურად, ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით.

2. საკონკურსო დოკუმენტების დისტანციურად მიღების შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარადგინოს უნივერსიტეტის ოფიციალურ მისამართზე ფოსტით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr@eeu.edu.ge გაგზავნის გზით. ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) კონკურსის მიზნებისთვის აღარ განიხილება.

3. საკონკურსო განაცხადის უნივერსიტეტის ოფიციალურ მისამართზე ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში კონკურსანტის შევსებული ანკეტა/რეზიუმე და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. ელექტრონული ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში კი, ნაბეჭდი დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

4. დისტანციურად საკონკურსო დოკუმენტების მიღებასა და მისი წარმოების ადმინისტრირებას ახდენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

5. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომელი საკონკურსო განაცხადების მიღების (ფოსტით, ელ-ფოსტით) შემდეგ ადგენს დოკუმენტების მიღების აქტს, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა დოკუმენტები წარმოადგინა კონკურსანტმა. დოკუმენტების მიღების აქტი ეგზავნება კონკურსანტს მის მიერ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.

6. საკონკურსო განცხადებების მიღებისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უფლებამოსილი თანამშრომელი საკონკურსო დოკუმენტებს ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის საკონკურსო კომისიის ყველა წევრს. გარდა ამისა, უგზავნის დოკუმენტების ჩაბარების აქტსა და გაცნობის ფურცელს, რომლებიც კომისიის წევრმა შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელს ელ-ფოსტის

მეშვეობით ხელმოწერილი უნდა დაუბრონოს. კომისიის წევრი დოკუმენტების ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ადასტურებს საკონკურსო დოკუმენტების მიღებას ხოლო გაცნობის ფურცელზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო „უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის წესსა“ და ამ წესით განსაზღვრულ საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტს და გამოთქვამს მზაობას, მასზე დაკისრებული ფუნქციები შეასრულოს აღნიშნული დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

1. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი ღია კონკურსის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ ადგილზე შემოსულ განაცხადებს და შეარჩევს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კანდიდატებს.
4. საკონკურსო კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
5. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.
6. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
7. საკონკურსო კომისია პირველად იკრიბება ვიდრე მოხდება მათთვის საკონკურსო დოკუმენტაციის გადაცემა.
8. პირველ სხდომაზე კომისია ეცნობა აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის წესსა და ამ წესით განსაზღვრულ საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტს და ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით.

9. კომისიის თავმჯდომარე ადგენს დღის წესრიგს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას სხდომაზე და თავმჯდომარეობს საკონკურსო კომისიის სხდომებს.

10. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

11. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში, რომელთაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის ყველა წევრი კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიღებას ადასტურებს სხდომაზე დასწრების ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ოქმის განუყოფელ ნაწილს. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

11[1]. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კომისიის სხდომები ჩაატაროს დისტანციურ ფორმატში Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პროგრამის გამოყენებით. ამ შემთხვევაში საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებსა და დასწრების ფურცელს კომისიის წევრები ხელს აწერენ ელექტრონულად. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურ ფორმატში ჩატარებული სხდომის ვიდეო ჩაწერა.

12. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

13. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის მუშაობა

1. საკონკურსო კომისიის წევრებსა და უნივერსიტეტს შორის კომუნიკაციას ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალი, კერძოდ, უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელი შესაბამისი სამსახური.

2. უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელი შესაბამისი სამსახური ვალდებულია საკონკურსო კომისიის წევრებს წინასწარ აცნობოს:

ა. კონკურსის ჩატარების თარიღი და დრო;

ბ. სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები, რომელიც დაკავშირებულია კონკურსის დადგენილი წესების შესაბამისად: თანმიმდევრულად, შეფერხების გარეშე ჩატარების უზრუნველყოფასთან.

3. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ ადგილზე შემოსულ განაცხადებს და შეარჩევს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კანდიდატებს.

4. აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

I. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა-შერჩევა;

II. კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება;

III. შედეგების განსაზღვრა-შეჯამება.

5. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის რეზიუმესა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან მიმართებით და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის რეზიუმეს ინფორმაციის სისწორეს და პლაგიატობის ან სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

7. კომისია კონკურსანტის რეზიუმეში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს და აფასებს მას ამ წესით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმის შესაბამისად გარდა წინამდებარე წესის ამავე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია კონკურსანტი სხვა კატეგორიებში არ შეაფასოს და მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

9. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი საბუთების განხილვის შედეგად კონკურსანტს მოსთხოვოს ანკეტაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტ/ებ/ის წარმოდგენა, აღნიშნული დოკუმენტ/ებ/ის წარდგენა საკონკურსო კომისიისათვის უნდა მოხდეს გასაუბრების ეტაპამდე.

10. საკონკურსო კომისია ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კონკურსის ჩატარების სამივე ეტაპზე.

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება

1. კომისია პირველ ეტაპზე განიხილავს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და აფასებს მათ უნივერსიტეტის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

2. კანდიდატების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

2.1. შერჩევის ძირითადი (საკანონმდებლო) კრიტერიუმები:

ა. აკადემიური ხარისხის ქონა:

ფასდება შემდეგ მოთხოვნათა გათვალისწინებით: წამყვანი პროფესორის, პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ხოლო ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი (უცხოეთში გაცემული ან არაქართულენოვანი დიპლომი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიულად).

ბ. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა:

ფასდება შემდეგ მოთხოვნათა გათვალისწინებით: წამყვან პროფესორს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლიანი გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები (პუბლიკაციები), მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა). პროფესორს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6, ხოლო ასოცირებულ პროფესორს არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (კანდიდატს სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილებად ჩაეთვლება მხოლოდ

ავტორიზებული ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა).

გ. პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავება:

ფასდება შემდეგ მოთხოვნათა გათვალისწინებით: პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის პროფესიული ნიშნით დასაკავებლად სავალდებულოა კანდიდატს უდასტურდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია შესაბამისი პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით/განათლებით ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

დ. საექიმო საქმიანობა:

ფასდება შემდეგ მოთხოვნათა გათვალისწინებით: ჯანდაცვის მიმართულებით კლინიკური სპეციალიზაციით პროფესორს უნდა ჰქონდეს არანაკლებ უკანასკნელი 9 წლის საექიმო საქმიანობის გამოცდილება, ასოცირებულ პროფესორს – არანაკლებ უკანასკნელი 5 წლის საექიმო საქმიანობის გამოცდილება, ასისტენტ-პროფესორს – არანაკლებ 5 წლის საექიმო საქმიანობის გამოცდილება, ხოლო ასისტენტი უნდა იყოს დოქტორანტი ან დოქტორის აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის მქონე კლინიკურ სპეციალობაში.

2.2. შერჩევის დამატებითი (საუნივერსიტეტო) კრიტერიუმები:

ა. სილაბუსი/სილაბუსები:

ფასდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით;

ბ. სამეცნიერო ნაშრომი, გამოქვეყნებული ბოლო 10 წლის განმავლობაში:

ფასდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად აქტუალურია შესაბამისი დარგისათვის.

გ. სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები მიღებული ბოლო 5 წლის განმავლობაში:

ფასდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კავშირშია შესაბამის დარგთან.

დ. სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ფასდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ადეკვატურია საკონკურსო თანამდებობასთან.

ე. სხვა დარგის ან და სპეციალიზაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები:

ფასდება იმის გათვალისწინებით, თუ კონკრეტულად რა მოთხოვნებია წაყენებული კანდიდატისათვის საკონკურსო თანამდებობასთან მიმართებით და აკმაყოფილებს თუ არა კანდიდატი მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

3. დადგენილი კრიტერიუმებთან შესაბამისობა ფასდება 0-2 ქულამდე:
   ა. „0“ ქულა – არ აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს;
   ბ. „1“ ქულა – არასრულყოფილად აკმაყოფილებს შეფასების მოცემულ კრიტერიუმს;
   გ. „2“ ქულა – სრულყოფილად აკმაყოფილებს შეფასების მოცემულ კრიტერიუმს.

4. კონკურსანტის შეფასება ხდება კანონმდებლობით დადგენილი (ძირითადი) და საუნივერსიტეტო (დამატებითი) კრიტერიუმებით. ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კონკურსანტს უარი ეთქმება საკონკურსო თანამდებობის დაკავებაზე, მისი სხვა მონაცემების მიუხედავად. დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში მიიღება ძირითადი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში და ემსახურება კონკურსანტებს შორის წარმატებულის გამოვლენას.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თანაბარი ქულების მქონე კონკურსანტების არსებობის შემთხვევაში ან თავისი შეხედულებისამებრ, მოსთხოვოს მათ საჯარო ლექციის/ლექციის ჩატარება და გადაწყვეტილება მათ შორის საუკეთესოს გამოსავლენად მიღოს კონკურსანტების მიერ ლექციის ჩატარების ხარისხის შესაბამისად.

6. კონკურსანტის მიერ ლექციის ჩატარება კომისიის მიერ ფასდება იმის გათვალისწინებით თუ რამდენად ხარისხიანად იქნება ჩატარებული, შესაბამისად კონკურსანტი ფასდება 0-4 ქულით.

   ა. „0“ ქულა – საერთოდ ვერ შეძლო ლექციის ჩატარება;

ბ. „1“ ქულა – დაბალი ხარისხით შემლო ლექციის ჩატარება;

გ. „2“ ქულა – საშუალო ხარისხით შემლო ლექციის ჩატარება;

დ. „3“ ქულა – კარგი ხარისხით შემლო ლექციის ჩატარება;

ე. „4“ ქულა – მაღალი ხარისხით შემლო ლექციის ჩატარება.

7. საკონკურსო კომისია ვალდებულია კონკურსანტთა დოკუმენტების განხილვისა და მათი შეფასების შემდეგ შეარჩიოს გასაუბრებაზე წარმოსადგენი პირები და ამ პირთა სია მიაწოდოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ შესაბამისი სამსახურს.

8. უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელი შესაბამისი სამსახური საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე, გასაუბრების მონაწილეებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით ან/და ელ-ფოსტაზე/ტელეფონით ატყობინებს გასაუბრების ჩატარების დროსა და პერიოდს.

9. გასაუბრების თარიღი და დრო საჯაროობის მიზნით ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

10. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. კონკურსანტის მიერ 30 წუთზე მეტი ხნით, არასაპატიო მიზეზით, დაგვიანება ითვლება გასაუბრებაზე გამოუცხადებლობად.

11. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.

12. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

13. გასაუბრებაზე კომისიის წევრები კონკურსანტის ინტერვიუირების მეშვეობით ახდენენ, ერთ შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის დაზუსტებას და ამ მიზნით კანდიდატს უსვამენ შეკითხვებს, ხოლო მეორეს მხრივ, მათ პასუხებზე დაყრდნობით ადგენენ კონკურსანტის მზაობას დასაკავებელ თანამდებობასთან მიმართებით.

14. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან მიიღონ სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მუხლი 9. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ წესებს.

2. წინამდებარე წესის თანახმად კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა, სულ მცირე, 2/3. საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საკონკურსო კომისიის სხვა წევრები კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ადასტურებენ სხდომაზე დასწრების ფურცლის ხელმოწერით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად და დგება საკონკურსო კომისიის შესაბამისი ოქმი. ამავე წესის შესაბამისად ცხადდება ახალი კონკურსი.

4. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით.

6. გასაჩივრების ვადის ამოწურვისთანავე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნოს შერჩეული კონკურსანტები.

7. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობება ყველა კონკურსანტს გასაჩივრების ვადის მითითებით.

მუხლი 10. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის რექტორის მიერ კონკურსის მიზნებისთვის შექმნილ დროებით სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების დადგენილ ვადაში.

2. კონკურსანტის მიერ სააპელაციო განცხადება კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესახებ სააპელაციო კომისიის სახელზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან ორი კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ შესაბამის სამსახურში, რომელიც სააპელაციო განცხადების შემოტანის ვადის დასრულებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში გადასცემს მას სააპელაციო კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ ერთი კალენდარული დღე ემთხვევა უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, ერთ კალენდარულ დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3. სააპელაციო განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
   ა) სააპელაციო კომისიის დასახელება;
   ბ) საკონკურსო კომისიის დასახელება;
   გ) საკონკურსო კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები;
   დ) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
   ე) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის სტატუსი;
   ვ) დარღვევის შინაარსი;
   ზ) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის მოთხოვნა;
   თ) განცხადების შემომტანი პირის ხელმოწერა და განცხადების შემოტანის თარიღი.

4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე მოიწვიოს კონკურსანტი. კონკურსანტი უფლებამოსილია, მოითხოვოს სააპელაციო კომისიის სხდომაზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემა.

5. სააპელაციო კომისია სააპელაციო განცხადებას იხილავს მისი წარდგენის ვადის ამოწურვიდან სამი კალენდარული დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, შეცვალოს საკონკურსო

კომისიის გადაწყვეტილება და შესაბამისი წარდგინებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს. მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

მუხლი 11. სხვა დებულებები

1. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია კონკურსის გამოცხადების დროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრძანებით დაადგინოს შერჩევის დამატებითი (საუნივერსიტეტო) კრიტერიუმები (წინამდებარე წესით დადგენილი ყველა კრიტერიუმი ან მათგან რომელიმე), დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკისა და საქმიანობის შინაარსის შესაბამისად.

2. საკონკურსო კომისიის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ წარდგინება წარედგინება რექტორს კონკურსანტთა დანიშვნის შესახებ, ხოლო რექტორი გადაწყვეტილებას გამარჯვებულთა დანიშვნის შესახებ იღებს სააპელაციო პროცედურების დასრულების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრების ვადა ამოიწურა და არ იქნა აპელაციაზე განაცხადი შემოტანილი, რექტორი გამოსცემს აქტს კომისიის მიერ წარდგენილი პირების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ხოლო თუ გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე წარმოდგენილი იქნა სააპელაციო განაცხადი, რექტორის ბრძანება გამარჯვებულთა დანიშვნის შესახებ გამოიცემა მხოლოდ სააპელაციო კომისიის მიერ მუშაობის დასრულებისა და შედეგების წარდგენის შემდეგ.

3. კონკურსის საბოლოო შედეგები მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რომლის გამოცემის შემდგომაც საკონკურსო კომისია და სააპელაციო კომისია წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო დადგენილებით.

2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.

დანართები

- კონკურსანტის განცხადების ფორმა – დანართი №1
- კონკურსანტის რეზიუმეს ფორმა – დანართი №2
- საკონკურსო კომისიის წევრებისათვის საკონკურსო პროცედურებისა და მუშაობის რეგლამენტის გაცნობის ფურცელი – დანართი №3;
- კონკურსანტთა შეფასების ფორმა №1 – დანართი №4
- კონკურსანტთა შეფასების ფორმა №2 – დანართი №5
- პროფესიული ნიშნით კონკურსანტთა შეფასების ფორმა №3 – დანართი №6

დანართი №1

EAST EUROPEAN UNIVERSITY

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

საკონკურსო კომისიას

სახელი და გვარი	
პირადი N	
მისამართი	
საკონტაქტო ინფორმაცია	

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მივიღო მონაწილეობა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის _____(წამყვანი პროფესორის, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში -

ფართო სფერო:_____

ვიწრო სფერო:_____

დეტალური სფერო: _____

სპეციალობა/დარგი: _____

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები უნივერსიტეტის დებულებას, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესს“, აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის დადგენილ მოთხოვნებს. გთხოვთ, განიხილოთ ჩემს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ხელმოწერა:

თარიღი:

რეგისტრირებულია: _____ _____

თარიღი № სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

მიიღო: _____ _____

სახელი, გვარი ხელმოწერა

EAST EUROPEAN UNIVERSITY

დანართი №2

კონკურსანტის ანკეტა-რეზიუმე

შენიშვნა: გთხოვთ, ანკეტა-რეზიუმის შევსებისას გამოიყენოთ შრიფტი - 11

ფოტო

1. პირადი ინფორმაცია

გვარი		
სახელი		
გვარი (ლათინურად)		
სახელი (ლათინურად)		
პირადობის მოწმობის პირადი №		
დაბადების თარიღი		
იურიდიული მისამართი (გთხოთ, მიუთითო სრული მისამართი: ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი, ქალაქი/სოფელი/დაბა, საფოსტო ინდექსი)		
ფაქტობრივი მისამართი (გთხოთ, მიუთითო სრული მისამართი: ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი, ქალაქი/სოფელი/დაბა, საფოსტო ინდექსი)		
საკონტაქტო ტელეფონი:	სახლი:	მობილური:
ელ-ფოსტა:		
სხვა საკონტაქტო ტელეფონი: (ოჯახის წევრის ან ახლობლის)		

2. საკონკურსო პოზიცია

საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება	

3. განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	მინიჭებული კვალიფიკაცია	კვალიფიკაციის მინიჭების თარიღი	დიპლომის №	დიპლომის გაცემის თარიღი

4. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

დისერტაციის თემა	
დისერტაციის დაცვის თარიღი	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის მინიჭების თარიღი	
დიპლომის №	
დიპლომის გაცემის თარიღი	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	

5. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება

საერთო პედაგოგიური სტაჟი	შესაბამისი გამოყავით მუქი შრიფტით! ☐ 1 წელი ან მეტი (3 წლამდე) ☐ 3 წელი ან მეტი (6 წლამდე) ☐ 6 წელი და მეტი	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	ბოლო 6 წლის განმავლობაში წაკითხული სასწავლო კურსები

6. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა

სახელმძღვანელოს (ძირითადი/დამხმარე) დასახელება, გამოცემის წელი, ავტორისა და თანაავტორის მითითებით (თქვენი/კონკურსანტის გვარი გამოყავით მუქი შრიფტით)	
1	
2	
3	
4	
5	
სალექციო კურსის (გამოქვეყნებული ან ელექტრონული) დასახელება *(ელექტრონული კურსებისთვის მიუთითეთ ელ. მისამართი)*	
1	

2	
3	
4	
5	

7. **სამეცნიერო ნაშრომები** (თქვენი შეხედულებით გამოყავით მუქი შრიფტით იმ სამეცნიერო ნაშრომის დასახელება, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას და დაერთვება ანკეტას)

№	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება	გამომცემის დასახელება (ადგილი)	ავტორი/ თანაავტორი (თქვენი/კონკურსანტის გვარი გამოყავით მუქი შრიფტით)	გამოქვეყნების წელი	ტიპი (მონოგრაფი, სტატია, წიგნი და სხვა)
1						
2						
3						
4						
5						

8. **პროფესიული გამოცდილება**

საერთო სამუშაო სტაჟი	**შესაბამისი გამოყავით მუქი შრიფტით!** ☐ 1 წელი ან მეტი (3 წლამდე) ☐ 3 წელი ან მეტი (6 წლამდე) ☐ 6 წელი და მეტი		
წელი/წლები	**დაწესებულების დასახელება**	**დაკავებული თანამდებობა**	**ფუნქციები**

9. **იმ სასწავლო კურსების დასახელება, რომლის წაკითხვაც შეუძლია კონკურსანტს** (მუქი შრიფტით გამოყავით ის სასწავლო კურსები, რომელთა სილაბუსები დაერთვება ანკეტას)

№	სასწავლო კურსის დასახელება	
1		
2		
3		

10. **სპეციალური მომზადება (ტრენინგი/სემინარი/კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები)**

თარიღი (დაწყება-დასრულება)	**კურსის/სემინარის/ტრენინგის დასახელება**	**დიპლომი/სერტიფიკატი**	**დაწესებულება**

11. სხვა აქტივობები (ბოლო 5 წელი) - სამეცნიერო კონფერენციებში, საგრანტო პროექტებში, საერთაშორისო ან სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობა, გამოგონებები, მივლინება, სტიპენდია, სტაჟირება და სხვ.

თარიღი, ადგილი	აქტივობის დასახელება	თქვენი როლი (მოკლე აღწერა)	მოხსენების სათაური

12. გიკავიათ თუ არა სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობა (დადებითი პასუხის შემთხვევაში შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი)

უსდ-ის დასახელება	აკადემიური თანამდებობა	არჩევის ვადა

13. უცხო ენების ცოდნა

უცხო ენა	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
ინგლისური			
რუსული			
გერმანული			
სხვა:			

14. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

პროგრამის დასახელება	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
MS Word			
MS Excel			
MS PowerPoint			
Adobe PDF			
Outlook			
სხვა:			
სხვა:			

15. დამატებითი ინფორმაცია, რაც გსურთ მოგვაწოდოთ

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ:

ხელმოწერა

თარიღი:

დანართი №3

EAST EUROPEAN UNIVERSITY

საკონკურსო კომისიის
მუშაობის რეგლამენტის

გაცნობის ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრის სახელი და გვარი		
საკონკურსო კომისიის წევრის პირადი №		

✓ **წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:**

- ✓ გავეცანი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესსა და ვიცი ჩემი მოვალეობები საკონკურსო კომისიის მუშაობის განმავლობაში;
- ✓ განმემარტა კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობისა და კონკურსანტთან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში სავალდებულო თვითაცილების შესახებ.

ხელმოწერა: _

შევსების თარიღი: _

დოკუმენტის ხელმოწერის ადგილი: _

დოკუმენტის მიღების თარიღი: _

ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი: _

დანართი №4

EAST EUROPEAN UNIVERSITY

კონკურსანტის შეფასების ფორმა N1

კონკურსანტი	სახელი და გვარი
კონკურსანტის პირადი №	

მონიშნეთ საკონკურსო პოზიციის დასახელება				
წამყვანი პროფესორი ☐	პროფესორი ☐	ასოცირებული პროფესორი ☐	ასისტენტ-პროფესორი ☐	ასისტენტი ☐

✓ **კონკურსანტის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასება:**

„0“ ქულა -არ აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს;

„1“ ქულა - არასრულყოფილად აკმაყოფილებს შეფასების მოცემულ კრიტერიუმს.

„2“ ქულა - სრულყოფილად აკმაყოფილებს შეფასების მოცემულ კრიტერიუმს.

- **ძირითადი (საკანონმდებლო) კრიტერიუმები:**

	0	1	2
1 **აკადემიური ხარისხის ქონა:**	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი	

	0	1	2
2 **სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა:**	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი:

დამატებითი (საუნივერსიტეტო) კრიტერიუმები:

1 **ბილაბუსი/სილაბუსები**

0 ☐ 1 ☐ 2 ☐

შემფასებელთა კომენტარი:

2 **სამეცნიერო ნაშრომი, გამოქვეყნებული ბოლო 10 წლის განმავლობაში:**

0 ☐ 1 ☐ 2 ☐

შემფასებელთა კომენტარი:

3 **სამეცნიერო სტიპენდიები, გრანტები, გამოგონებები და სხვა პროფესიული აქტივობები ბოლო 5 წლის განმავლობაში;**

0 ☐ 1 ☐ 2 ☐

შემფასებელთა კომენტარი:

4 **სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.**

0 ☐ 1 ☐ 2 ☐

შემფასებელთა კომენტარი:

5 **სხვა დარგის ან და სპეციალიზაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები:**

0 ☐ 1 ☐ 2 ☐

შემფასებლთა კომენტარი:

კონკურსანტის შეფასების ჯამი	მაქსიმუმი 14 ქულიდან	
	მიღებული	☐ ქულა

საბოლოო შეფასების შეჯამება

გადაწყვეტილება:

შემფასებლები		
	სახელი და გვარი	ხელმოწერა
1		
2		
3		
4		

შევსების თარიღი:

დანართი №5

EAST EUROPEAN UNIVERSITY

კონკურსანტის შეფასების ფორმა N2

კონკურსანტი	სახელი და გვარი
კონკურსანტის პირადი №	

მონიშნეთ საკონკურსო პოზიციის დასახელება				
წამყვანი პროფესორი ☐	პროფესორი ☐	ასოცირებული პროფესორი ☐	ასისტენტ-პროფესორი ☐	ასისტენტი ☐

✓ კონკურსანტის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასება:

0" ქულა - საერთოდ ვერ შეძლო ლექციის ჩატრება;

„1" ქულა - დაბალი ხარისხით შეძლო ლექციის ჩატარება;

„2" ქულა - საშუალო ხარისხით შეძლო ლექციის ჩატარება;

„3" ქულა -კარგი ხარისხით შეძლო ლექციის ჩატარება;

„4" ქულა -მაღალი ხარისხით შეძლო ლექციის ჩატარება;

	0	1	2	3	4
საჯარო ლექციის/ლექციის ჩატარება	☐	☐	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი:

კონკურსანტის შეფასების ჯამი

მაქსიმუმი 4 ქულიდან		
მიღებული		ქულა

საბოლოო შეფასების შეჯამება

გადაწყვეტილება:

შემფასებლები		
	სახელი და გვარი	ხელმოწერა
1		
2		
3		
4		

შევსების თარიღი:

დანართი №6

EAST EUROPEAN UNIVERSITY

პროფესიული ნიშნით კონკურსანტის შეფასების ფორმა N3

კონკურსანტი	სახელი და გვარი	
კონკურსანტის პირადი №		

მონიშნეთ საკონკურსო პოზიციის დასახელება				
წამყვანი პროფესორი ☐	პროფესორი ☐	ასოცირებული პროფესორი ☐	ასისტენტ-პროფესორი ☐	ასისტენტი ☐

✓ **კონკურსანტის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასება:**

„0“ ქულა - არ აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს;

„1“ ქულა - არასრულყოფილად აკმაყოფილებს შეფასების მოცემულ კრიტერიუმს.

„2“ ქულა - სრულყოფილად აკმაყოფილებს შეფასების მოცემულ კრიტერიუმს.

- **ძირითადი (საკანონმდებლო) კრიტერიუმები**

1

პროფესიული გამოცდილება	**0**	**1**	**2**
	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი:

2

სპეციალური მომზადება	0	1	2
	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი:

3

პუბლიკაციები:	0	1	2
	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი:

EAST EUROPEAN UNIVERSITY

დამატებითი (საუნივერსიტეტო) კრიტერიუმები:

1

სილაბუსი/სილაბუსები:	0	1	2
	☐	☐	☐

შემფასებელთა კომენტარი:

კონკურსანტის შეფასების ჯამი	მაქსიმუმი 8 ქულიდან		
	მიღებული	☐	ქულა

საბოლოო შეფასების შეჯამება

გადაწყვეტილება:

შემფასებლები		
	სახელი და გვარი	ხელმოწერა
1		
2		
3		
4		

შევსების თარიღი: